ბრძანება №35/ს

თბილისი **30 / ივნისი / 2018 წ.**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ავტორიზაციის შესახებ

ავტორიზაციის მსურველი პირი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო)

მოთხოვნა: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის ავტორიზაციის მინიჭება კვალიფიციურ სანდო მომსახურებაზე.

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2018 წლის 30 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მომართა № 01/203240 განაცხადით შემდეგი კვალიფიციური სანდო მომსახურებების კვალიფიციური სანდო მომსახურებისათვის მიმწოდებლად ავტორიზაციის შესახებ:

1. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე;
2. კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა;
3. სააგენტოს მიერ გაცემული სერტიფიკატების ავტომატური შემოწმების მომსახურება;
4. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება;
5. გაუქმებული სერტიფიკატების სიის გამოქვეყნება.

ავტორიზაციის შესახებ განაცხადს თან ერთვის:

1. აუდიტის დასკვნა და შესაბამისობის ამსახველი ცხრილი დანართის სახით (ქართულ ენაზე);
2. „სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმისა და ზოგიერთი აქტივების განმსაზღვრელი ცხრილების დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 30 ივნისის №391/ს ბრძანება;
3. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დანართი №1 - სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს უწყვეტობის გეგმა;
4. სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკა;
5. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს უწყვეტობის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო სერვისების

განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 29 ივნისის №381/ს;

6. სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბიზნეს უწყვეტობის მეთოდოლოგია;

7. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების“ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 29 ივნისის №383/ს;

8. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 03 იანვრის ბრძანება № 1/ს და მისი დანართი №2 (სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტი); დანართი №3 (სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ 2018 წლის პროგრამული ბიუჯეტი) და დანართი № 4 (სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის ბიუჯეტის/საშტატო განრიგის/დადგენილი ლიმიტების ცვლილების განმარტებითი ბარათი).

9. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითრების სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის 2018 წლის 3 იანვრის №1/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2018 წლის 11 ივნისის ბრძანება №324/ს;

10. „სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების, კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატის შექმნის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 29 ივნისის №315 ბრძანება;

11. სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების, კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატის შექმნის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის შინაგანაწესი;

12. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი - საგადახდო დოკუმენტი №16628;

13. მომსახურებათა აღწერა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ETSI TS 119 612 „Electronic Signatures and Infrastructures (ESI); Trusted Lists“ სტანდარტის შესაბამისად, ელექტრონული ფორმით (XML ფაილი);

14. ბიზნეს-უწყვეტობის ფარგლებში ინციდენტის შემთხვევაში მისი აღმოფხვრის დროისა და მომენტის აღმწერი დოკუმენტი ცხრილის სახით.

ავტორიზაციის შესახებ განაცხადზე თანდართული „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის № 343 დადგენილებით დამტკიცებულ კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკურ რეგლამენტთან (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) შესაბამისობის შესახებ 2018 წლის 14 ივნისის აუდიტის დასკვნა მომზადებულია შპს „იუაი საქართველოს“ მიერ და მასში ასახულია საერთაშორისო სტანდარტების (ETSI EN სტანდარტების სერია), „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ შიდა კონტროლების სისტემის, მმართველობითი და სერტიფიკაციის მხარდამჭერი პროცესების, ასევე ტექნიკური კონფიგურაციების მიმდინარე მდგომარეობის შეფასება და მათი გაუმჯობესებისთვის აუცილებელი მიდგომები და რეკომენდაციები. აუდიტის დასკვნისა და მასზე თანდართული შესაბამისობის ცხრილის თანახმად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მითითებული მომსახურებების შეფასება განხორციელდა როგორც საქართველოს კანონმდებლობის („ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი, „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის № 343 დადგენილება, „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის №308 ბრძანება), ისე - შემდეგი საერთაშორისო სტანდარტების მიმართ:

მომსახურება	მომსახურების აღნიშვნა	სტანდარტი	ვერსია
ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის სერტიფიკატის გაცემა	Bio. Encryption	ETSI EN 319 411-1 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 1: General requirements	V1.2.2 (2018-04)
კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე	ESignature	ETSI EN 319 411-2 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 2: Requirements for trust service providers issuing EU qualified certificates	V2.2.2 (2018-04)
კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე	ESeal	ETSI EN 319 411-2 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 2: Requirements for trust service providers issuing EU qualified certificates	V2.2.2 (2018-04)
კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა განმცხადებლის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებული კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე	ESeal	ETSI EN 319 411-2 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 2: Requirements for trust service providers issuing EU qualified certificates	V2.2.2 (2018-04)
კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს მიერ გაცემულ სუბიექტის მოწყობილობაზე	ESeal	ETSI EN 319 411-2 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 2: Requirements for trust service providers issuing EU qualified certificates	V2.2.2 (2018-04)
სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებაზე	ESeal	ETSI EN 319 411-2 Policy and security requirements for Trust Service Providers issuing certificates; Part 2: Requirements for trust service providers issuing EU qualified certificates	V2.2.2 (2018-04)
დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება	Timestamping	ETSI EN 319 421 Policy and Security Requirements for Trust Service Providers Issuing Time-Stamps	V1.1.1 (2016-03)

როგორც აუდიტის დასკვნაშია მითითებული, აუდიტის შედეგად აღნიშნული მომსახურებების მიწოდების მიმართ გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები:

ა) სააგენტოში არ არსებობს პოლიტიკა ან/და პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვის პროცესს (მათ შორის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების ან სერვერების შესყიდვა ან განვითარება);

ბ) ინფორმაციული ტექნოლოგიების ცვლილებები რეგულირდება ცვლილებების მართვის ფორმალური პროცედურით, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები არ შეიცავს ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნებს;

გ) სააგენტოს პოლიტიკისა და პროცედურის დოკუმენტები არ არეგულირებს შეტყობინების პროცესს, მათ შორის კონტრაჰენტებისა და მომხმარებლებისთვის (როგორც ფიზიკური, ასევე - იურიდიული პირი);

დ) ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების ან სერვერების შესყიდვისა ან განვითარების უსაფრთხოების კონტროლების ანალიზი არ ხორციელდება დაგეგმარებისა და მოთხოვნების სპეციფიკაციების ჩამოყალიბების ეტაპზე;

ე) შინაგანაწესი, რომელიც შეიცავს სერტიფიკატის გამოყენების წესებსა და პირობებს, არ არის დამტკიცებული და გამოქვეყნებული სააგენტოს ვებგვერდზე;

ვ) არ არის შემუშავებული პროცედურა, რომელიც აღწერს კრიზისის შემდგომ ქმედებებს, რათა მოხდეს მსგავსი სიტუაციის შემდგომში თავიდან არიდება;

ზ) კომპრომეტირების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების პროცედურა არ არსებობს;

თ) არ არის შემუშავებული და დანერგილი მომხმარებლებისა და კონტრაჰენტების ინფორმირების პროცედურა;

ი) აპარატურული უსაფრთხოების მოდულის (HSM) კონფიგურაცია არ არის დოკუმენტირებული შესაბამისი კონფიგურაციის სტანდარტში;

კ) ღია გასაღების ინფრასტრუქტურასთან (PKI) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების რეგულირება არ ხდება და შესაბამისად, გამჟღავნების რეგულირება (PDS) არ შეესაბამება ETSI EN 319 411-1 სტანდარტის „ა“ დანართს.

ლ) ETSI EN 319 412 -5 სტანდარტის მიხედვით მოთხოვნილი QC Statement-ები არ არის წარმოდგენილი სერტიფიკატებში;

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი იქნა „სანდო და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების, კრიპტოგრაფიული გასაღებების სერტიფიკატის შექმნის, გაცემისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის შინაგანაწესი“, სადაც აღწერილია სანდო მომსახურების მიმწოდებლის ზოგადი ვალდებულებები, ასევე, კონკრეტული კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების წესი და პროცედურა.

ავტორიზაციის შესახებ № 01/203240 განაცხადით წარმოდგენილ იქნა ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკა, მეთოდოლოგია, გეგმა და ინციდენტის შემთხვევაში მისი აღმოფხვრის დროისა და მომენტის აღმწერი დოკუმენტი. წარმოდგენილ დოკუმენტებში აღწერილია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ოპერაციული საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები, რომელიც საშუალებას მისცემს ორგანიზაციას აღადგინოს ყველა საჭირო სერვისი მისაღებ დროში. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია ბიზნესის უწყვეტობის ეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელებისთვის აუცილებელი ძირითადი პრინციპების დადგენა. ავტორიზაციის შესახებ განაცხადით წარმოდგენილ დოკუმენტებში, რომლებიც შეეხება ბიზნესის უწყვეტობის საკითხებს, განსაზღვრულია ყველა კრიტიკული პროცესი, ასევე იმ პოტენციური საფრთხეების შეფასება, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კრიტიკულ პროცესებზე.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სააგენტოს 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტი შეადგენს 72 854 412 ლარს, საიდანაც 8 598 062 ლარი გამოყოფილია მონაცემთა ბაზების დახვეწის, ინფორმაციული უსაფრთხოების, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისა და სერვისის უწყვეტობისთვის.

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის, ასევე „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის № 308 ბრძანების მე-3 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი იქნა ყველა საჭირო დოკუმენტი, რაც აუცილებელია ავტორიზაციის შესახებ განაცხადის განხილვისათვის.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე იმსჯელა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის ავტორიზაციის მინიჭებაზე.

ავტორიზაციის შესახებ განაცხადის განხილვის ფარგლებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნის საფუძველზე, კვალიფიციური სანდო მომსახურების მიწოდების ნაწილში დგინდება მნიშვნელოვანი შეუსაბამობები, როგორიცაა პროცედურული და ოპერაციული კონტროლის მექანიზმების, ასევე აუცილებელი დოკუმენტების, მათ შორის, მომხმარებელთა შეტყობინების წესის არარსებობა. ხარვეზებს შეიცავს აპარატურული უსაფრთხოების მოდულის (HSM) კონფიგურაციების მართვის პროცესი.

გარდა ამისა, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის შინაგანაწესით გასათვალისწინებელ ინფორმაციას. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესი შეიცავს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის მიერ გამოყენებული უსაფრთხო სისტემების, საშუალებებისა

და პროცედურების აღწერილობას, ასევე - მომსახურებისათვის დადგენილი საზღაურის ოდენობასა და მისი გადახდის წესს. შინაგანაწესში ნათლად არ არის მითითებული პასუხისმგებლობის დაზღვევის ფარგლები და საფუძველი, მათ შორის ზიანის ანაზღაურების წესი. შინაგანაწესში მითითება კეთდება მხოლოდ მთავრობის მიერ დამტკიცებული რეგლამენტით დადგენილ ზოგად წესზე. წარმოდგენილი შინაგანაწესით ასევე სრულად არ არის გათვალისწინებული კვალიფიციურ სანდო მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციის შენახვის ვადა და წესი, ისევე როგორც - მომსახურების მიმწოდებლის საქმიანობის შეწყვეტის და მისი საქმიანობის სხვა პირისთვის გადაცემის წესი, როგორც ეს მოთხოვნილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით. ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შინაგანაწესი არ არის სტრუქტურულად თანმიმდევრული და მომხმარებლისათვის აღქმადი, ასევე ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შინაგანაწესი არ არის დამტკიცებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი.

მიუხედავად აუდიტის მიერ გამოვლენილი ზოგიერთი მნიშვნელოვანი შეუსაბამობებისა, აუდიტის დასკვნისა და სხვა წარმოდგენილი დოკუმენტების დეტალური შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო უმეტესწილად აკმაყოფილებს როგორც „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის, ისე - კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტისა და კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის მოთხოვნებს ავტორიზაციის შესახებ განაცხადში მითითებული მხოლოდ სამი მომსახურების მიმართ (კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე; კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა; დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება).

რაც შეეხება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული სერტიფიკატების ავტომატური შემოწმების მომსახურების მიწოდებისა და გაუქმებული სერტიფიკატების სიის გამოქვეყნების თაობაზე ავტორიზაციის მოთხოვნას, უნდა აღინიშნოს, რომ „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის № 308 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს იმ სავალდებულო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს აუდიტის დასკვნა, კერძოდ აუდიტის დასკვნაში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია ავტორიზაციის მსურველი პირის მიერ ავტორიზაციის შესახებ განაცხადში მითითებული მომსახურებისათვის კანონითა და ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ აუდიტისათვის დადგენილი ფარგლები მოიცავდა მხოლოდ შემდეგ მომსახურებებს:

1. ელექტრონული ხელმოწერის ბიომეტრიული მონაცემების შიფრაციის სერტიფიკატის გაცემა;
2. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე;
3. კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სუბიექტის მიერ წარმოდგენილ სუბიექტის მოწყობილობაზე;
4. კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სუბიექტის ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ სუბიექტის მოწყობილობაზე;
5. კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს მიერ გაცემულ სუბიექტის მოწყობილობაზე;
6. კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა სააგენტოს ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებულ სუბიექტის მოწყობილობაზე;
7. დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება.

ამდენად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ განაცხადში მითითებული მომსახურებები - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული სერტიფიკატების ავტომატური შემოწმების მომსახურების მიწოდება და გაუქმებული სერტიფიკატების სიის გამოქვეყნება - აუდიტის ფარგლებში არ ყოფილა შეფასებული, როგორც მომსახურება.

შესაბამისად, იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის №308 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სააგენტოს არ გააჩნია შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, მიანიჭოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ავტორიზაცია ზემოაღნიშნული ორი მომსახურების გაწევაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ ისარგებლა დისკრეციული უფლებამოსილებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლების, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის № 343 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის, „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლის ავტორიზაციისა და ზედამხედველობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 28 ივნისის №308 ბრძანებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-5, მე-7 და მე-8 მუხლების საფუძველზე, გადაწყვიტა:

1. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიენიჭოს პირობითი ავტორიზაცია შემდეგი კვალიფიციური სანდო მომსახურებების მიმართ:

   ა) კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის გაცემა პირადობის (ბინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე;

   ბ) კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატის გაცემა;

   გ) დროის კვალიფიციური აღნიშვნის მომსახურების მიწოდება.

2. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალოს, არაუგვიანეს 2019 წლის 01 ივლისისა სააგენტოს წარუდგინოს აუდიტის დასკვნა ან/და სხვა მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდება აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებული შეუსაბამობების აღმოფხვრა. შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად გატარებულმა ღონისძიებებმა არ უნდა გამოიწვიოს ახალი შეუსაბამობების წარმოქმნა;

3. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოთხოვნა მის მიერ გაცემული სერტიფიკატების ავტომატური შემოწმების მომსახურების მიწოდებისა და გაუქმებული სერტიფიკატების სიის გამოქვეყნების ნაწილში ავტორიზაციის მინიჭების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

4. დასრულდეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 30 ივნისის №01/203240 განაცხადის განხილვა. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებისთანავე გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.dea.gov.ge) და ძალაში შევიდეს 2018 წლის 01 ივლისს;

5. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ავტორიზაციის შესახებ ინფორმაცია 2018 წლის 01 ივლისს შეტანილ იქნას კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში;

6. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ავტორიზაციის ვადა აითვალოს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში ინფორმაციის შეტანის მომენტიდან;

7. გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, № 6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ნიკოლოზ გაგნიძე